

სპორტიდან არჩიბატიურაში — არჩიბატიურაში სპორტისათვის

პასრაძის „მერცხალი“

მს. კასრაძის „მერცხალი“ რაღაცა, იტყვიან ალბათ მკითხველი. ცხადია, თუ იგი ახალგაზრდა ან საშუალო ასაკისაა. ძველ, მრავალმხანველ ფეხბურთის გულშემატკივარს კი; უმეტესად, ამ სიტყვებზე გაახსენდება ქართული ფეხბურთის ოცდაათიანი წლების ერთ-ერთი პოპულარული მკვარე იური კასრაძე და მასთან ერთად (ეს უკვე, რომ იტყვიან, „ასპროცენტინა“) კასრაძის „მერცხალი“.

...ამა თუ იმ ფეხბურთელს, როგორი უნივერსალურიც უნდა იყოს იგი, რაღაც ერთ თვისება მაინც გამოირჩევიდა აქვს. ვაშლით, მაცალითადა, „ბორის პაიჭაძის დრიბლინგი“, „ავთანდილ ლომიძის ბურთის დამორჩილება“, „მიხეილ ბერძენიშვილის პენალტი“, „გიორგი ჭეჭელაშვილი და მიხეილ მესხის ფინტები“, „გვიჩი ჭორბენაძის მაკრატელა“, „ალექსანდრე დორხოვის კარიდან გამოსვლა“, „გიორგი ანთაძისა და ზაურ კალაიძის თავური დარტყმები“, შოთა იამანიძისა და მანუჩარ მანაიძის „შორეული რეიდები“, „ვლადიმერ ბარკაიას კენწეღა“, „დავით ყიფიანის მინდვრის „ხედვა“, „ასლან ხარბედიას, გივი ნოდისა და რამაზ შენგელიას გოლის „ყნოსვა“ და სხვა. პირდაპირ იური კასრაძე განსაკუთრებულად თავგანწირული, მართლაც რომ მერცხლისებური ნახტომებით გამოირჩეოდა.

80 წლისაა უკვე. ყურნალისტური გაგებით, გვერდშეშენი, დღესაც „საუკეთესო ფორმაშია“ — საუბარი ოდნავადაც არ გაგვირეგებია, უმნიშვნელო დეტალებიც კარგად ახსოვს ამ ენაწყვილიან მოუბარს.

დღეღამეობა დაიბადა — ხაშურის რაიონის სოფელ ალში. პაპამისი სოფლის ეკლესიის დიაკონი იყო, ბიძა — მღვდელი. ღმერთი თავადაც სწამს, მაგრამ, აი, სასულიერო კარიერაზე არც უფიქრია. უფრო ხატვა იზიდავდა და... ფეხბურთი. პატარა იური საცხოვრებლად მამის სოფელში გადაიყვანეს — ზემო ჩოჩეთში, კასპის რაიონში, სკოლაშიც აქ მიიბარეს და თანატოლებთან ერთად მთელ დღეს დაუღალავად დასდევდა ბურთს. მერე თბილისში — ლეიდასთან ცხოვრობდა მთაწმინდაზე. რუსთაველზე, სობორის ეზოში — იქ, სადაც ახლა მთავრობის სახლია, არსებულ ფეხბურთის მოედანზე გაიარა „საფეხბურთო აკადემია“... იური თავდადებული იყო. ერთხელ მისი „მთაწმინდა“ ხვდებოდა „მთაწმინდას“. მთაწმინდელთა მკვარე დაშვებული იყო და მათმა კაპიტანმა, მარჯვენა გარემარბმა მიხეილ გარაყანიძემ დიდი ხვეწნა-მუღაბრის შემდეგ 14 წლის ფეხბურთელი... კარში დადგომბზე დაითანხმა.

— მას შემდეგ აღარც მიმიტოვებია კარი და ჩემი „ლასტოკები“ გამოცხვირ-პირი სულ დაღვწილი მქონდა.

ამ სიტყვების შემართებლობა თვალნათლივ დაერწმუნდი, როდესაც ძველ ფორტისურათს დასწვდეთ კასრაძის არქივიდან. მისი მფლობელი აქ თავზე ბინტშემოხვეული დგას ბორის პაიჭაძისთან, გიორგი ჭეჭელაშვილისთან, მიხეილ ბლოკისთან, გვიჩი ჭორბენაძისთან, კაკო ყალიჩაშვილისთან, სერგო სიხარულიძისთან, ვახტანგ რამიშვილისთან, ხუტა ქოიავასთან და სხვებთან ერთად. ესენი იყვნენ მისი პირველი თანაგუნდელები, მისი ნიჭის თანამოზიარენი და თაყვანისმცემლები.

1928 წელს იური კასრაძე — თბილისის პირობებში მისი მე-სამედიკალური — „დინამოში“ აიყვანეს. აქ იგი დიდებული ანდრო ჟორდანია გვერდით ოსტატდებოდა. ბევრს სწავლობდა აგრეთვე დინამოელთა მკვარეებისგან — ალი-

ოში პაკოვისა და გიორგი ბაღდოვისაგან. ორი სეზონი დაჰყო „დინამოში“, შემდეგ კი პირობები-კოსის დიპლომით ქუთაისს გაემგზავრა წყალთა მეურნეობის სისტემაში სამუშაოდ. იმ დღეებში ქუთაისის „დინამოს“ ორი ამხანაგური მატჩი უნდა ჩატარებინა თბილისში. ქუთათურებმა ახალგაზრდა პირობებში სთხოვეს მათი კარის დაცვა. უარი ვერ უთხრა — თან ჩვენებს ვინააო! ორივე მატჩი ითამაშა ი. კასრაძემ. სტუმრებმა ორივე შეხვედრა წააგეს, მაგრამ, თუ როგორ ითამაშა მათმა მკვარემ, თავად ვასწავთ: თბილისელითა კაპიტანმა შოთა შენგელიძემ იურის მათ გუნდში დაბრუნება შესთავაზა, თანაც ინსტიტუტში ჩარიცხვის გარანტია მისცა. მალე იური კასრაძე ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი გახდა და... დინამოელებთან ერთად ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრა დონბასში.

იმ დროს ინდუსტრიულ ინსტიტუტს ფეხბურთელთა მართლაც საუკეთესო გუნდი ჰყავდა და არა მარტო ფეხბურთელთა — კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, მოკუარავეთა, მოფარიკავეთა, მოკრივეთა, ტანმოვარჯიშეთა. ინსტიტუტის ფეხბურთელებს მოთამაშე მწვრთნელი გიორგი („ფსიქა“) ვაჩანაძე (მერე, მოგახსენებთ, ამერიკაში ცხოვრობდა) ავარჯიშებდა, კაპიტანი კაკო ყალიჩაშვილი იყო. მასთან ერთად თამაშობდნენ მიხეილ მინაიძე, მიხეილ ბლოკი, სერგო სიხარულიძე, მიხეილ გარაყანიძე, გუგული დიდიძე, გოგი მამაცაშვილი... 1932 წელს იღვა. მრმდევნი სეზონში ზოი-მ საქართველოს ინსტიტუტების ტურნირში გაიმარჯვა, პროფკავშირთა რესპუბლიკური ჩემპიონიც გახდა, აი საქართველოს პირველობაზე კი წააგო „დინამოსთან“. 1934 წელს ზოი-მ სტუდენტთა სპარტაკი-ადა მოიგო მოსკოვში, როგორც საერთო ჩათვლაში, ისე ფეხბურთში. ინსტიტუტი მსუბუქი ავტომანქანა „ემდინით“ დააქოლოვებს, ხოლო ფეხბურთელებს მაჯის საათები დაუბრუნეს. თბილისში კი ამას გელოსიპელები და დასასვენებელი სახლის საგზურებიც დაუმატეს.

— მასსოვს, ფინალში მასპინძელთა გუნდს შევხვდით. მასში სხვებთან ერთად თამაშობდნენ ძმები ნიკოლაი და ანდრეი (თუ არ ვცდები) სტაროსტინები და... გიორგი სიხარულიძე. 2:0 მოვიგეთ.

ზოი-ს გუნდს შემოემატენ გიორგი ჭეჭელაშვილი, არჩილ კიკნაძე, გვიჩი ჭორბენაძე, გიგა ქეხაძე, დუკა რამიშვილი, „ბელა“ ვორონოვი, ხუტა ქოიავა, ვლადიმერ კოძისი, ბორის პაიჭაძე... ვახსენებთ: ბორის პაიჭაძე თავდაპირველად ზოი-ს მთავრე გუნდში მიიღეს, თავდასხმის ხუთეულში სხვადასხვა ადგილზე გასიჩქეს, მაგრამ მაშინ მიატოვდნენ ინც ფურორი არ მოუხდენია. და აი, ერთხელ ვაჩანაძემ იგი სპრველ გუნდში ათამაშა, თავისი ადგილი დაუთმო ცენტრში — ნუ გეშინია, მე შენს გვერდით ვითამაშებ მარცხნივ.

— იმ დღეს ბორიამ პირდაპირ აიწყვიტა — გვიყვება ი. კასრაძე — „გლოჯა და გლოჯა“ გოლები. ვაჩანაძე პირდაფრენილ უყურებდა ახალგაზრდა ცენტრფორვარდს, რომელმაც მართლაც საკადრისად შეცვალა იგი ცენტრში. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იმ დღეს დაიბადა დიდ ფეხბურთში ბრწყინვალე ბორის პაიჭაძე. აქვე მინდა გავიხსენო პაიჭაძისთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდიც: 1934 წელს სტუმრად ვთამაშობდით დონბასის ქალაქ კალინინოში. მატჩის მკვარე დაშვებული იღვა კარში. ბორი ჩვეული დრიბლინ-

გით გავიდა გარდგევაზე. მოატყუარამდენიმე მცველი, მერე მკვარე, ბურთი კართან მიიტანა და... ხაზზევე დატოვა დაურტყმელად. უნდა გენახათ, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, ტრუსისაგან კინაღამ დაინგრა სტადიონი! ამ დროისათვის ზოი-ს ძლიერი, ტექნიკური გუნდის სახელი „გაუფარდა“. ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტმა, ლენინგრადელმა მიხეილ ბუტუსოვმა (ერთ დროს იგი ჩვენს „დინამოს“ უფროსი მწვრთნელიც იყო) პირდაპირ განაცხადა: „ლენინგრადელთა გუნდი ზოი-ს უნდა შევხვედროთ—უკეთესი სპარინგ-პარტნიორი დღეს მართლაც წარმოუდგენელია“.

ზოი-ს ძალი კვლავ შეამოწმა თბილისის „დინამომ“. სამი მატჩი ითამაშეს. საბეჭდოში... სტუდენტებმა



სპარტაკი: ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი 1932 წელს. უკანა რიგში — გიორგი ვაჩანაძე, გიორგი მამაცაშვილი, სერგო სიხარულიძე და იური კასრაძე; წინა რიგში — მიხეილ გარაყანიძე, ვახტანგ დიდიძე და კაკო ყალიჩაშვილი.

შენიშვნა: თუ მკითხველთაგან ლის ვინაობა, რომელთა გვარები გვაცნობოთ.

იმარჯვეს, არადა, დინამოელთა დრიბლინგს იმ შემხვედრებში იცავდნენ ისეთ ოსტატებს, როგორიც იყვნენ შოთა შენგელიძე, ალექსანდრე დორხოვი, მიხეილ ბერძენიშვილი, მიხეილ ასლამაზოვი, ლევან აბაშიძე, ნიკოლაი ანეიჩი, ძმები მიშა და კოლია სომოვეები... 1935 წელს ზოი-ს თითქმის მთელი გუნდი გადაიყვანეს „დინამოში“, მათ შორის, ცხადია, იური კასრაძეც.

ჩვენი დიდებული მეკარეების დორხოვისა და ტყეზურავას მეტოქეობა საკმაოდ ძნელი საქმე იყო, მაგრამ გადასვლაზე უარი არ მიუთქვამს. არქიტექტორთაზე ვოცნებობდი, ჩავაბარე კიდევ, დაგამთავრე ინსტიტუტი და იქვე ასისტენტად დამტოვეს, მერე მუშაობდა დიდიწიქ აომასკომის საპროექტო ბიუროში, რომელიც 1937 წელს „თბილქალაქპროექტი“ გადაკეთდა. იმ წელს რამდენიმე მატჩი ვითამაშე, მაგრამ მიფხვდი, რომ დიდი ფეხბურთისა და არქიტექტურის შეთავსება შეუძლებელი იყო და საყვარელ თამაშს 26 წლისა გამოვეთხოვე. გულანდილად უნდა ითქვას, რომ „დინამოს“ კარში იმ დროს შესანიშნავი მეკარე შურა დორხოვი იღვა. მართალია, ჩვენს გუნდს მეკარეები მუდამ საუკეთესონი ჰყავდა, მაგრამ დორხოვისნაირი გოლიკები, ჩემი აზრით, „დინამოში“

კი არა, მთელს საბჭოთა კავშირში არ იყო მაშინ, იგი არავის ჩამოუვარდებოდა — არც აკიმოვს, არც ყემკოვს, არც ტრუსევიჩს, არც ილსკოვსკის... დიდოსტატურად, ძალიან კარგად იღებდა დაბალ თუ მაღალ ბურთებს, საუცხოოდ თამაშობდა კარიდან გამოსვლისას.

იური კასრაძემ, რომ იტყვიან, კუთხეში მიაგლო ტყავის ბურთი, მეკარის ხელთათმანი ლურსმანზე ჩამოკიდა. ახლა მთელ დღეს სახანავ დაფასთან ატარებდა. ბოლოს მაინც სპორტის სამსახურში ჩაღვა — ძნელია მოთვლო, რამდენი სამშენებლო პროექტი გამოვიდა მისი ხელიდან. საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი, ტურისტული ბაზა „ვაკე“, თელავის სასტუმრო „კახეთი“, თბილისის აეროპორტის სასტუმრო, რესტორანი „ისინი“, ყველას რა ჩამოთვლის...
ი. კასრაძის უპირველესი ქმნილება კი მაინც თბილისის სპორტის სასახლეა, რომლის ავტორები მას-

გამოვიდა. გამოვიყენეთ ქართული ეკლესიის მშენებლობის მეთოდი — პატარა არხი შეიღებოდა და მოლოდინულად დიდ სკრეენში აღმოჩნდებოდა ორივე ვა, დამეთანხმებოდა, დიდ ელემენტს უფრო მაგისტრს, რაოდენ განცვიფრდნენ მაშინ ჩვენი ახალშენით თბილისში ჩამოსული სტუმრები ამერიკიდან და ბულგარელები. გარედან სასახლეს შედარებით მოკრატულია, შიგნიდან კი გრანდიოზული. სხვათა შორის, ჩვენი მეთოდი გამოიყენეს კიევში გადახურული ბაზრის მშენებლობისას. რაც შეეხება თვით გუმბათს, ეს ხომ ჩვენი ჰერული აბანოების გუმბათია, ოღონდ, ცხადია, გაცილებით მასშტაბური. იგი ევროპეულ წოდებულ ანაკრებ კონსტრუქციას წარმოადგენს, რომლის დიამეტრი 76 მეტრია. გადახურვის კონსტრუქციას მშენებლობისას არავითარი საყრდენი არ ჰქონდა, იგი 10 რიგი რკინა-ბეტონის ფილებით-საგანაა გავკეთებული, თითოეული 2.4 ტონას იწონის. დამორტყებისას ერთხელ ერთი ფოლა ჩამოვარდა, ისეთი ბრავანე მოაღინა ძირს, იქაურთა გვარიადად შეაქანა. მოგვიჩვენა, ყველაფერი ინგეროდა, გადაჩაჩა! უნებური „გენერალური გამოცდა“ გამოვიდა. წარმოიდგინეთ, რომ დაგრეულიყო, ალბათ, ასეთ ადარც აგვამენებინებდნენ. სხვათა შორის, შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ სასახლე მის გვერდით აგებული საციკლოტო სკოლის ასლია. სწორედ რომ გამოსაცდელად, ასე ვთქვათ, „ცოცხალი მკვებისათვის“ ავამენებთ იგი, გადახურვის შემდეგ მაქსიმალურად დავეტოვებთ მისი გუმბათი. გაულო!

თბილისის სპორტის სასახლემ, როგორც ცნობილია, 1961 წლის 12 მაისს გახსნა კარი. ყველა ალტაცებული დარჩა ნაგებობით, აი, ნიკიტა ხრუშჩოვმა კი მაინც დაგვესალა მოხეიშენი.

სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და, გადაწყვეტილი იყო მისი ავტორებისათვის სახელმწიფო ლაურეატის წოდების მინიჭება, მაგრამ სასახლეში შემოსენებული „პირველი კაცის“ გამოსვლის შემდეგ გააუქმეს ფაქტობრივად უკვე მოხალადად ბრძანება ლაურეატობის მინიჭებაზე.

საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი იური კასრაძე 22 წელიწადს სათავეში ედგა „თბილქალაქპროექტის“ პირველ არქიტექტურულ სახელმწიფო, მერე იმფარქტი გადაიტანა და პენსიაზე გავიდა. დღეს იგი კვლავ „მწყობრშია“ — პროექტის მთავარ არქიტექტორად მუშაობს. მხადია, საყვარელ ფეხბურთს არ იფიქრებს — უხარია, რომ ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელ გზას დაადგა.

საერთაშორისო შეხვედრები რომ ბლომადა გავაგმარებინა, მაშინ ნამდვილად ამაღლებდა ქართული ფეხბურთის დონე. სპორტული ყინა და შემართება მაშინ გიჩნებდა სპორტსმენს, განსაკუთრებით, როდესაც სხვის ვუნდს ხვდები. უკან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიხილოთ — ყველანაირად ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე შევადოთ უფვა-სა და ფიფა-ს კარი! ერთზე მწყედება გული: შვილიშვილის შვილი მყავს, 11 წლის ლევანი — წარმოიდგინეთ, ზემირად იცის მთელი მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავთა ვინაობა, აი, თავად კი არ თამაშობს ფეხბურთს. ანდა, კაცმა რომ თქვას, სად უნდა ითამაშოს, და საერთოდ, სად იმბინოს, სად დაისვენოს პაერზე? იმჩინებით გადაიქცა ეზოები. ადრე თბილისში ეზო არ იყო, ფეხბურთი რომ არ ეთამაშათ. ამტომაც იყო, რომ ნიკიტის ფეხბურთელები იმ იმპროვიზირებულ „სტადიონებზე“ მართლაც ბლომადა იზრდებოდნენ.

გვახარა ოთარ ნოზაძემ.

„ლელო“ ლელო გაიტანა...

პართალი რაგბის ბოლოდროინდელი წარმატებები გვაუღლებულს მერე ყურადღება დავუთმობთ მოზარდ მორაგებებს, მათ, ვინც ხვალ უნდა ზიღოს ქართული რაგბის ტერიტორია, აქსიომაა — დიდ სპორტსმენად არავინ იბადება, დიდ სპორტში ყველა ბავშვობიდან მოიღობს.

8 გუნდი უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს მოზარდ მორაგბეთა პირველობაზე (1976-77 წ.წ.)

დაბადებულნი, მაგრამ ფინანსური მიზეზების გამო ქუთაისელბმა თბილისში მხოლოდ ერთი გუნდის — „აიას“ მოვლინება შეძლეს. მის გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ რაგბისა და კეტიბურთის სპორტსკოლის 2 გუნდი — „მარტვი“ და „ლელო“. „პატარა ივერთი“ და „აკადემია“ (ყველა — თბილისი), ზესტაფონის „იმერეთი“, კიანთურის „ფლორ“.

ტურნირის მონაწილენი 2 ჯგუ-

ფად დაიყვნენ. I ჯგუფში უძლიერესნი ქუთაისელები აღმოჩნდნენ. მეორე ადგილზე „აკადემია“ გაყოდა. II ჯგუფში საუკეთესონი, შესაბამისად, „ლელო“ და „პატარა ივერთი“ იყვნენ.

ნახევარფინალურ შეხვედრებში ქუთაისის „აიამ“ „პატარა ივერთს“ დაამარცხა — 15:0, „ლელომ“ „აკადემია“ — 26:6. ფინალური მატჩი — „აიას“ — „ლელო“ — მეტად დაძაბულად წარიმართა. მართალია, ქუთაისელები დიდი შემართებით იბრძოდნენ, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მეტოქის დამარცხება და „ლელომ“ ღირსეულად გაიმარჯვა — 15:6.

ინფორმაცია

15-16 წლის ამ კატეგორიაში მოკრივეებმა სულ ახლახან წარმატებით იასპარეზეს შინ — ევროპის ექსტრემიონ დავით კვაკაძის VII ტრადიციულ ტურნირში, შემდეგ კი უკრაინის ქალაქ ბელოცერკოვის რიგზე, ბელოცერკოვში ისინი უკრაინელ, ბელორუს, მოლდაველ, უზბეკ, სომეხ, რუს, ტაჯიკ და ყირ-

გის თანატოლებთან ერთად გამოდიოდნენ. ტურნირის გამარჯვებულს წოდება მოიპოვეს: არმენ ალ-აქანიანი (44 ქულა), ბესიკ ვარძელაშვილი (46), თემურ შამიანიანი (48), ეშვარ ნარიმანიძე (70) და ლერი შანაია (74).

ეს მოკრივეები საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელთა კარიანისინი შეკრებებისათვის მოამზადდნენ მწვრთნელებმა: გენადი ვარძელაშვილმა და მურთაზ ამირიანიამ.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

უფას-ს თასი

იბალიური ფინალი

დღეს მილანში და 22 მაისს რომში ერთმანეთს შეხვდებიან იტალიის საფეხბურთო კლუბები — „ინტერი“ და „რომა“.

„რომა“ (რომი) — დაარსდა 1927 წელს. ორგზის იტალიის ჩემპიონი — 1942 და 1983 წლებში.

გზაზე მეოთხედფინალში „მილანს“ „პარაჯო“ გადელთა და დამარცხდა 1:1, 0:1, „სამპდორია“ გათამაშების ამავე ეტაპზე მოულოდნელად წააგო ვარშავის „ლეგიასთან“ 0:1, 2:2.

ური კლუბები წარმოადგენენ — „იუვენტუსის“ მეტოქე „ფიორენტინა“ გახლდათ.

სხურთი ლოგოს იშვიათად ექვემდებარება ამასთან, რომელიც კლუბის მფლობელია.



რბ ისაის უსწავთიდან?

- გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.
- გელაია. „ლოკერენი“ — „ლიეჟი“ 2:0, „ვარეგემი“ — „ანდერლექტი“ 0:2, „მოლენბეკი“ — „კორტრიკი“ 5:0, „ბრიუჯი“ — „სენტტრიუდენი“ 0:4, „მეჟელენი“ — „გენტი“ 1:0, „ბერსკოტი“ — „ეიკერენი“ 0:1, „სტანდარდი“ — „ლიერსი“ 0:0, „გენიკი“ — „ანტვერპენი“ 2:0.

ბრაზილიელში, ფეხბურთი, „პარაგანს“

დღემდე სფეროს ფონზე გამოსახული ბრინჯაოს ფეხბურთელის მონუმენტი ეგებება მსოფლიოში უდიდესი სტადიონის „მარაკანას“ სტუმრებს.

წინ. ბრაზილიელთა რწმენით, ერთნული ნაკრები ვალდებული იყო სწორედ შინ და აქ მოეპოვებინათ ყოველი რიგის საოცნებო თასი.

ში მის უნაკლო მოედანზე პოპულარული ბრაზილიური გუნდების შეხვედრები ერთგვარი თოქიუმის ფუნქციას ასრულებდა და მილიონობით ადამიანს მცირე ხნით ავიწყებდა ცხოვრების სიმწიფეს.



უცხოეთის ფეხბურთის ამაბი

დღემდე სფეროს ფონზე გამოსახული ბრინჯაოს ფეხბურთელის მონუმენტი ეგებება მსოფლიოში უდიდესი სტადიონის „მარაკანას“ სტუმრებს.

წინ. ბრაზილიელთა რწმენით, ერთნული ნაკრები ვალდებული იყო სწორედ შინ და აქ მოეპოვებინათ ყოველი რიგის საოცნებო თასი.

ში მის უნაკლო მოედანზე პოპულარული ბრაზილიური გუნდების შეხვედრები ერთგვარი თოქიუმის ფუნქციას ასრულებდა და მილიონობით ადამიანს მცირე ხნით ავიწყებდა ცხოვრების სიმწიფეს.

მაშინადა გელა ჯილაურმა. სურათში: „მარაკანას“ სტადიონი.

საავაზირო პირველობა

საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის შეხვედრათა შედეგები:

ტალური“ (ზაპოროჟიე) 2:1, „ჩერნომორე“ (ოდესა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:0, „დინამო“ (მოსკოვი) — „ფხთაქორი“ (ტაშკენტი) 3:1, ცსკა — „არარატი“ (ერევანი) 2:1, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:2.

საავაზირო კავშირის თასზე

ბონი. გათამაშების ლიდერმა „კიიურსლავტურნიკმა“ შინ ძნელი გაიმარჯვა მთლიან „კარლსრუესთან“ — 3:2 და ამჟამად 28 ტურის შემდეგ 40 ქულა აქვს.

ემილ ზატოპეკი:

ოპტიმისტის ტკბილ-მწარე წარსული

პალსინაი. 1952 წელი, ოლიმპიური თამაშები. ჩეხოსლოვაკიელი მორბენალი ემილ ზატოპეკი დამაჯერებლად იგებს შეჯიბრებას 5 000 და 10 000 მეტრზე. ორი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელობა, ცხელია, ძალზე დიდი მიღწევაა, მაგრამ ამით საქმე არ დამთავრებულა. როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესი გამოიწვია მართლმად. ეს ასაბუხობა კვლავ ზატოპეკის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. მან საკმაოდ შორს ჩამოიტოვა მეტოქეები და მაყურებელი ფინიშიან, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ერთადერთ მორბენალს ადევნებდა თვალს. აი, მიუახლოვდა იგი ოლიმპიურ სტადიონს, შეიბრძნა იქ... სხვა მორბენლები კი როდის-როდის გამოჩნდნენ. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ ემილ ზატოპეკის მეუღლემ დანა ზატოპეკამ ოქროს მედალი მოიპოვა შუბის ტყორცნაში. ეს განსაკუთრებით საინტერესოა ოქსახის ყველაზე სასამოვნო მოგონება.

— რაც შეეხება უსიამოვნო ამბებს — იგონებდა ემილ ზატოპეკი — და, პირდაპირ ვთქვათ, ჩავვრას. იგი 22 წელი გრძელდებოდა. 1966 წლის აგვისტოს ცნობილი მოკლენების შემდეგ, როცა ჩეხოსლოვაკია ვარშავის ხელშეკრულების ჯარებმა დაიკავეს, მე და დანამ გადაწყვიტეთ პროტესტი განგვეცხადებინა. 21 აგვისტოს ჩვენ მოვიტხოვეთ აგრესორი ქვეყნების სპორტსმენები არ დაეშვათ მხივოს ოლიმპიურ თამაშებზე.

ემილ ზატოპეკი და მისი მეუღლე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ რეჟიმს დაუბრუნებლ მტრებად ექცნენ. მათ ხელი მოაწერეს „2000 სიტყვის მანიფესტი“, რის შემდეგ... უშუალოდ დაიწყო მანამდე ემილ ზატოპეკი, როგორც სამხედრო მოსამსახურე, პრაღის აომიულ სპორტკლუბ „დუჟოვაში“ კაბუტ მორბენლებს ავარჯიშებდა. პოლიტიკურად ესოდენ არასამილო პიროვნე-

ბის მუშაობა ახალგაზრდებთან კი არასასურველად მიიჩნეს. და აი, შედეგად — 1969 წლის 1 ნოემბერს პოლონეთში ემილ ზატოპეკი, რომელმაც არმიში 24 წელი იმსახურა, თადარიგში გადაიყვანეს... ჯარისკაცის პენსიით. დიან, დიან, ამიერიდან იგი თადარიგის პოლონეთში კი არ იყო, არამედ თადარიგის... ჯარისკაცი!

— მუშაობა არასდროს მეზარებოდა. — განაგრძობს ზატოპეკი, — ამიტომ, ძალიან არ შევეშოვით ვარ. შრომას მაშინ შევეჩვიე, როცა კაბუტობისას ზონიში ბატონის ცნობილ ფეხსაცმელს კონკრეტულ ემულში მივიღე. მაგრამ ახლა არსად ვეძებდნენ. ერთი პირობა ფირმა „ვლასიმმა“ თავისი პროდუქციის გამსაღებლად მიმიწვია, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. მოსალაპარაკებლად რომ მივედი, შევიცარბა ცივად მომიხურა კარი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პრაღაში ყოველგვარი მუშაობა ამიკრძალეს. დიან, ჩემი გამოჩენა ადამიანებს შორის, ხალხში, სახიფათოდ მიჩნდათ. რა გავწყობოდა, დედაქალაქი უნდა დამეტოვებინა. მუშაობა დაიწყე სახიფათოდ „გეოდეზიაში“. ეს 1974 წლამდე გაგრძელდა.

მე და ჩემი ცოლი ერთ დღეს ვართ დაბადებულნი — 1922 წლის 12 სექტემბერს. და აი, 1972 წელს 50 წელი შეგვისრულდა. ვახეთებს, რადიოსა და ტელევიზიის კონტრი არ დაუძრავთ, ერთი წერილიც არ გამოქვეყნებულა, თითქოს ჩვენ ოლიმპიური ჩემპიონები არც კი ვიყავით, მაგრამ მეგობრებს არ დავიწყებდით. ველოცავდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან: ფინეთიდან, შვეციიდან, ინგლისიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. ასეთი დამოკიდებულება ძალზე გვაშინებდა. ჩეხოსლოვაკიის სპორტის ფუნქციონერებს კი ერთი სული ჰქონდათ, როდის დაეტოვებდით ქვეყანას და უცხოეთში

გავიხიზნებოდით. არა, ეს სიამოვნება ვერ მივანიჭეთ!

ყოველივე ამ საშინელებას ხომ უნდა ჰქონოდა დასასრული. 1990 წლის მარტის ერთ დღეს ჩვენს სახლთან სამხედრო მანქანა გაჩერდა და იქიდან ოფიცრები გადმოვიდნენ, ჯარის ზარის ლილასი ხელი დაკვირეს.

— თუ შეიძლება, ჩივიეთ და თავდაცვის სამინისტროში წამოგვეყვით.

მე ვერ ვიცი არ ვიცი, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. რაც შეეხება სამხედრო ფორმას, მას შემდეგ, რაც დამითხოვეს, იგი აღარ მქონდა. რას ვინაობი, რაც მეზობა, ის ჩავიცი. თავდაცვის სამინისტროში მთელი გენერალიტეტი შეკრებილიყო. გენერლებთან: პიკასა და კლინგალუსისთან წარმადგინეს. შემდეგ მინისტრ მიროსლავ ვაცეკთან მოვედი. მან აღნიშნა ჩემი დამსახურება ჩეხოსლოვაკიის არმიის წინაშე; მითხრა, რომ მთლიანად ვი-



ემილ ზატოპეკი.

ყავი რეაბილიტირებული; დამიბრუნეს ორდენები და მედლები. კვლავ პოლონეთში ვიყავი და არა რიგითი ჯარისკაცი.

ემილ ზატოპეკს ახლა ხშირად ჭკობავენ ყურნალობები. გთავაზობთ, ერთ ინტერვიუს მასთან.

● რა მიგაჩნით ყველაზე დიდ უსიამოვნებად?

— თავზე, ქედმაღალ და უპატიოსნო ადამიანებთან შეხვედრა.

● ხალ გსურთ იცხოვროთ?

— მხოლოდ და მხოლოდ ჩემს სამშობლოში.

● რა არის თქვენთვის ბედნიერება?

— კარგად მუშაობა და ამით ყველასთვის სარგებლობის მოტანა.

● შეცდომათა და ნაკლთაგან რომელს მოუტყვებდით ყველაზე უფრო იოლად ხვებხ?

— ნაკლთაგან, პირველ ყოვლისა, გაუბედობა.

● თქვენი საყვარელი მხატვრული ჟანრი...

— კარგად ჩავეს დოქტორი პროკობა.

● თქვენი საყვარელი ჟანრები და გმირი ქალები ცხოვრებაში...

— ვისაც პაველი.

● ვის გამოარჩევთ ისტორიაში?

— ჩეხოსლოვაკიის პირველ პრეზიდენტს ტრმაჟი მასარიკს.

● მხატვართაგან ვინ გიყვართ ყველაზე მეტად?

— ჩემი მიკოლას ალექსი.

● როგორი მუსიკა გიყვართ ყველაზე მეტად?

— მორავიული ხალხური მუსიკა.

● ყველაზე უფრო ადამიანის რომელი მხარე აფასებთ?

— სიმართლის სიყვარულს.

● თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— რა თქმა უნდა, სპორტი, მძლეოსნობა.

● ყველაფერს რომ თავიდან იწყებდით, რას ინატრებდით?

— მხოლოდ ერთს: კვლავ კარგი მორბენალი გავმხდარიყავი.

● რა მიგაჩნით თქვენს დიდ ნაკლად?

— ის, რომ ზოგჯერ რაიმეზე უარის თქმა არ შემიძლია. ზაპრეყვად მე დამელო ჩასიათის კარი.

● რაზე იცნებობთ?

— მშვიდობიან მსოფლიოში მსოფლიოში.

● რა გასინებთ ყველაზე მეტად?

— როცა უსამართლობას ღირსეულ პასუხს ვერ აძლევენ.

● თქვენი საყვარელი ფერი?

— ცისფერი.

● საყვარელი ყვავილი?

— ვარდი ჩემს ბაღში.

● ვინ გინდათ იყოთ?

— ის, ვინც 68 წლის მანძილზე ვიყავი — ემილ ზატოპეკი.

● თქვენი საყვარელი ჩიტი?

— კანარის ჩიტი

● რომელი მწერალი გიყვართ ყველაზე უფრო მეტად?

— კარელ ჩაპეკი.

● საყვარელი პოეტი?

— იაროსლავ ზეივიტი.

● ყველაზე ძალიან რა გყვართ?

— სიმბალე და ტყუილი.

● ვის იგონებთ ყველაზე მეტი სიძულვილით?

— იმით, ვინც მილიონები სასიკვდილოდ გავიწიეს.

● რომელმა სამხედრო ოპერაციებმა გააოცათ?

— ყველაზე მეტად მხარბებს განიარაღება. წარსულის სამხედრო ოპერაციებიდან — ამერიკელების გადმოსრობა 1944 წელს საფრანგეთში.

● რომელი რეფორმები მოგწონთ ყველაზე უფრო?

— ის რეფორმები, რომელიც ამ ბოლო ხანს განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში.

● რა გინდათ ვაკეთოთ, რა გაგაბარებდათ?

— ისეთი ჩეხოსლოვაკიელი მორბენალი გავხდარი, ოლიმპიურ თამაშებში რომ გაიმარჯვებ.

● როგორი სიკვდილით გინდათ მოკვდეთ?

— ბუნებრივი სიკვდილით, მაგრამ მალე არა.

● თქვენი განწყობილება?

— ოპტიმისტი. მინდა ჯანმრთელი ვიყო და სიხალსე დიდხანს შევიწარმოო!

ფაქტობრივი — მაყურებლის რძული

ვეთარითებად გათამაშდა სან-მარინოს „გრან პრი“ ფორმულა 1 კლასის ავტომობილებით რბოლაში, „იმოლას“ დიდი და ენცი ფერარის სახელობის ტრასაზე.

მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის მასპინძლობის იდეა სან-მარინოში 1980 წელს გაჩნდა. საკუთარი ტრასის უქონლობის გამო გადაწყდა, რომ დაეჭირავენინათ იტალიის ქალაქ მოდენასთან ახლოს მდებარე „იმოლას“ ავტომობილორბოაში.

აქენინის ნახევარუნძულზე მდებარე ჯუჯა სახელმწიფოს — სან-მარინოს მოსახლეობის უმეტესობას იტალიელები შეადგენენ, და ამიტომ, ისინი ბედნიერნი არიან, როცა თავიანთი ქვეყნის „გრან პრის“ გათამაშებაში „ფერარი“ ან რომელიმე იტალიელი ავტომობილი იმარჯვებს, რაც ერთობ იშვიათად ხდება: მხოლოდ სამჯერ აუხდათ ოცნება იტალიელებს — 1983, 1985, 1990 წლებში.

ეტაპისწინა საცდელი რბოლების შედეგების მიხედვით „ფერარის“ საბოლოოდ უნდა გაემარჯვა სან-მარინოს „გრან პრის“ წლებადლე გათამაშებაში. ასე ფიქრობდნენ იტალიელი „ტიფოზები“, სპეციალისტები: კი პროგნოზებისგან თავს იკავებდნენ, თუმცა იცოდნენ, რომ „მაკლარენ-პონდას“ პილოტებმა — აირტონ სენამ და გერჰარდ ბერგერმა მოიგეს. ავსტრიელი პილოტისთვის ეს მეექვსე საუკეთესო სიწვრთნელი რბოლა იყო, ხოლო „მაკლარენისათვის“ — 71-ე.

აქვარად ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) სასტარტო ბილიკამდეც ვერ მივიდა. ძრავის გასახურებელ წრეზე მან ვერ დაიმორჩილა ავტომობილი და ბარიერს შეეჯახა. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაკანონებული წესების თანახმად, ფრანგ პილოტს უფლება აღარ ჰქონდა საასპარეზოდ სათადარიგო „ფერარი“ გამოსულიყო და შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტი მაყურებლის რბოლაში აღმოჩნდა.

იგივე წესის თანახმად ასპარეზობას გამოეთიშნენ ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „უილიამს-რენო“) და ბერტრანდ გაშო (ბელგია, „ჯორდან-ფორდი“). სტარტის შემდეგ ისინი ერთმანეთს შეეჯახნენ, თუმცა ამას არც ერთი არ ყოფილა დანაშაუვ, ასე რომ, ფედერაციის სანქციებს ისინი არ მიიღებენ.

პროსტის მარცხის შემდეგ მთელ მდებს მის თანაგულდელზე ჟან ალენზე ამყარებდნენ, მაგრამ წვიბამ მასაც შეუშალა ხელი ასპარეზობაში.

ახლა კი მხოლოდ იტალიელ პილოტს, კერძოდ, რიკარდო პატრუზეს (იტალია, „უილიამს-რენო“) შეეძლო „დაემშვიდებინა“ „ტიფოზები“. იგი მართლაც დაწინაურდა და 10 წრის მანძილზე ლიდერობდა. მაგრამ აირტონ სენამ გამოიყენა ხელსაყრელი შემთხვევა და გადაუსწრო მეტოქეს. თანაგულდელს არ ჩამორჩა გერჰარდ ბერგერიც და მათ ერთად დასრულეს რბოლა.

სან-მარინოს „გრან პრი“ საუკეთესო გამორღვა ფინელი პილოტებისთვის, ხოლო ჯულიან ბეილიმ, რომელმაც მარტინ დონელი შეცვალა, პირველი ქულა ჩაიფერა აქტივში.

ჩემპიონატის მონაწილე პილოტთა ოფიციალურ სიაში, „ლოტუსის“ მეორე პილოტად გამოცხადებული იყო ირლანდიელი სპორტსმენი, როგორც გაირკვა, დონელი ახლა ჯანმრთელადაა, მაგრამ ექიმებმა მას ჭრი არ აძლევენ ასპარეზობის უფლებას. ამიტომ გუნდის ახალმა მენეჯერმა სამი კანდიდატიდან (ჯონი პერბერტი, ჯონი დამფრინი, ჯულიან

ბეილი) ეს უქანსენელი ამირჩია. მიაკაინენისა და ჯულიან ბეილის დახმარებით „ლოტუსმა“ პირველი სამი ქულა მოაგროვა.

„მაკლარენისთვის“, რომელიც 12 მაისს, მონაკოში, ჩემპიონატში ასპარეზობის 25 წლის იუბილეს აღნიშნავს (1966-1991 წწ), ეს იყო 89-ე გამარჯვება საერთოდ და მე-5 სან-მარინოში, „პონდასთვის“ — 61-ე, აირტონ სენასთვის — 29-ე და მე-3 „იმოლაზე“.

გერჰარდ ბერგერმა ტრასის რეკორდი დაამყარა — 1 წრით, 26,531 წამი (საათში 209,682 კილომეტრი). რბოლის საბოლოო შედეგი:

1. აირტონ სენა (ბრაზილია) — 10 ქულა;
2. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, ორივე „მაკლარენ-პონდა“) — 6;
3. ირიკ იარვილიტო (ფინეთი, „დალარა-ჯადი“) — 4;
4. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი-ფერარი“) — 3;
5. მიაკაინენი (ფინეთი) — 2;
6. ჯულიან ბეილი (ინგლისი, ორივე „ლოტუს-ჯადი“) — 1 ქულა.

პირალი ჩათვლა: 1. აირტონ სენა — 30 ქულა; 2. გერჰარდ ბერგერი — 10; 3. ალენ პროსტი — 9; 4-5. ნელსონ პიკე, რიკარდო პატრუზე — 6-6 ქულა; 6. ირიკ იარვილიტო — 4; 7-8. სტეფანო მოდენა, პიერლუიჯი მარტინი — 3-3, 9-10. სატორუ ნაკაპიმა, მიაკაინენი — 2-2; 11-13. აუგურო სუტუი, ჟან ალენი, ჯულიან ბეილი — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენ-პონდა“ — 40 ქულა;
2. „ფერარი“ — 10; 3-4. „ბენეტონ-ფორდი“, „უილიამს-რენო“ — 6-6;
5. „ტიარელ-პონდა“ — 5;
6. „სკუდერია იტალია (დალარა-ჯადი“) — 4; 7-8. „მინარდი-ფერარი“, „ლოტუს-ჯადი“ — 3-3; 9. „ლოტუს (ლოლა)-ფორდი“ — 1 ქულა.

მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი, მოეწყობა 12 მაისს მონტე-კარლოს ქუჩებში, იქ, სადაც 1966 წელს შედგა 60-იან წლებში მოასპარეზე ახალგაზრდული ავტომობილის ბრუსს მაკლარენის მიერ შექმნილი გუნდის დებიუტი, რომლის თანამეწევერც იყო ყოფილი ადრეკატი და ავტოსპორტის დიდი მოყვარული ტედი მეიერი.

1970 წლის 2 ივნისამდე ორივე ერთად წარმართავდა „მაკლარენის“ საქმიანობას, მაგრამ ამ დღეს „პროტოტიპებით“ ასპარეზობისას ბრუსს მაკლარენს დაიღუპა.

1974 წელს ტედი მეიერიმა ხელშეკრულება დალო „ფილიპ მორისთან“ და „მაკლარენი“ დღემდე უწყვეტ რეკლამას „მარბორს“.

ამ 25 წლის მანძილზე „მაკლარენმა“ 8-ჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პილოტთა შორის და 6-ჯერ კონსტრუქტორთა შორის.

1982 წლიდან დღემდე „მაკლარენს“ ხელმძღვანელობს სოფილი ავტონიენიერი რომ დენისი.

სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიგო „მაკლარენმა“ 1984 წელს — 12, ხოლო 1988 წელს 15 „გრან პრი“.

სპეციალისტთა აზრით, „მაკლარენს“ უძლიერესი დუეტი ჰყავდა 1988 წელს. აირტონ სენამ და ალენ პროსტმა ყველა ადრინდელი რეკორდი მოხსნეს და ორივე „გინესის რეკორდების წიგნში“ შევიდა. ბრაზილიელმა პილოტმა პირველად მოიპოვა 8 „გრან პრი“ ერთ სეზონში, ფრანგმა სპორტსმენმა კი პირველმა დააგროვა 100 ქულაზე მეტი.

„მაკლარენ-პონდას“ არც ბოლო ორი წელი ჰყავს სუსტი წყვილი — სენა-ბერგერი, მაგრამ ჯერჯერობით, ავსტრიელი პილოტი „გრან პრის“ ვერ იგებს, რაც, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ აირტონ სენამ გუნდის მენეჯერის დიდი პატივისცემით სარგებლობს და უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე მის თანაგულდელს. ეს სან-მარინოშიც დამტკიცდა, როცა მხოლოდ ბრაზილიელი პილოტი გამოვიდა იმ „მაკლარენით“, რომელიც „პონდას“ ახალი, 12-ცილინდრიანი ძრავით იყო აღჭურვილი.

ეტაპის შემდეგ, პრეს-კონფერენციაზე, გერჰარდ ბერგერმა განაცხადა, რომ ამას არ უმოქმედია მათ შორის დამოკიდებულებაზე. ავსტრიელმა პილოტმა დაუმატა, რომ ბრაზილიელი ავტომობილი მასზე გამოცდილია და გუნდის ხელმძღვანელობა სწორად მოიქცა, როცა სენას მიანდო ახალი ძრავის გამოცდა.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუსსპორტლოტომ“ შეჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის მე-17 ტრიაის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.716.052 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუტენია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (19) მოგება 4.765 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (361) — 1.003.

საქართველოში: დაშვებულია 50.475 ვარიანტი, 13—0, 12—0, 11—6. მე-17 ტრიაის მოგებები გაიცემა 1991 წლის 18 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით.

რედაქტორი
თენგიზ ბაჩიანიძე

სპორტული
ლატარია
მომხარება
საშუააღმავლად!

იმასთან დაკავშირებით, რომ საქავშირო სპორტული ლატარიების გაერთიანება „სოიუსსპორტლოტოსთან“ მიღწეულია შეთანხმება სპორტული ლატარიების რეალიზაციიდან მეტი წილი მოგებას რეაბილიტაციის დატოვებაზე, რაც დამატებით შემოსავალს მისცემს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტს და ადგილობრივი ბიუჯეტს, საქართველოს სპორტული ლატარიების საწარმო ადადგინა „სპორტლოტოს“ და „სპორტპროგნოზის“ ბილეთების რეალიზაცია.

სამსპორტლოტო

საქართველოს რაგბის კავშირი თანაგურნობს რესპუბლიკის და მსახურებულ მწვრთნელს ვასილ კვლოშვილს დედის

მერი კუპრეიშვილ-კვლიშვილის გარდაცვალების გამო.

დავით ჩუბინიძე.